მემკვიდრეობა

მალხაზ მაცაბერიძე •

ვარლამ ჩერქეზიშვილის ლექციები ერთა ლიგაში საქართველოს შესვლის აუცილებლობის შესახებ

აბსტრაქტი

1920 წლის მარტში დასავლეთ ევროპიდან საქართველოში დაბრუნებულმა ვარლამ ჩერქეზიშვილმა თბილისში წაიკითხა რამდენიმე ლექცია ერთა ლიგის შესახებ, რომელიც ოფიციალურად შეუდგა მუშაობას 1920 წლის 16 იანვარს. ვარლამ ჩერქეზიშვილი აღნიშნავდა ერთა ლიგის სამომავლო მნიშვნელობას განიარაღების, მსოფლიოში მშვიდობის დამყარების და მშრომელთა უფლებების დაცვის საქმეში; განსაკუთრებით გამოყოფდა სოციალისტური პარტიების ერთსულოვან მხარდაჭერას ამ ორგანიზაციისადმი. რადგანაც იმ დროისათვის საქართველო იურიდიულად ჯერ არ იყო ცნობილი, ვარლამ ჩერქეზიშვილი საჭიროდ მიიჩნევდა საქართველოში ერთა ლიგის საზოგადოების მუშაობის გააქტიურებას, რათა ქვეყანა მომზადებულიყო ერთა ლიგაში შესასვლელად.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, ერთა ლიგა, ვარლამ ჩერქეზიშვილი

1917 წელს საქართველოში დაბრუნებული ცნობილი ქართველი რევოლუციონერი ვარლამ ჩერქეზიშვილი თავის საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების შესახებ ლექციების კითხვას მიიჩნევდა. საგაზეთო პუბლიკაციების მეშვეობით ჩვენთვის ცნობილია თბილისსა და ქუთაისში

• პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

მის მიერ წაკითხული ლექციების შესახებ.[1] შემდეგ ვარლამ ჩერქეზიშვილი ისევ გაემგზავრა დასავლეთ ევროპაში და იქ ყოფნის დროს ცდილობდა დახმარებოდა პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე ჩასულ საქართველოს დელეგაციას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იურიდიული აღიარების მიღწევის საქმეში.

1920 წლის დასაწყისში ვარლამ ჩერქეზიშვილი საქართველოში დაბრუნდა. უმთავრესი სიახლე, რის შესახებაც მას უნდოდა თანამემამულეებისთვის მოეთხრო, 1920 წლის 16 იანვარს პარიზში ოფიციალურად გახსნილი „ხალხთა ლიგის“ კონგრესი იყო. ამ საკითხზე მან რამდენიმე ლექცია წაიკითხა.

1920 წლის 9 მარტა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მთავარი ორგანო „სახალხო საქმე“ იუწყებოდა: „ოთხშაბათს, მარტის 10-ს, საღამოს 7 ნახ. საათზე ჩვენს პარტიულ კლუბში მოხსენებას წაიკითხავს ევროპიდან ახლად დაბრუნებული ვარლამ ჩერქეზიშვილი შემდეგ თემაზე: „ევროპის დღევანდელი მდგომარეობა და ერთა ლიგა“. მოხსენებაზე შესვლა უფასოა“.

შემდეგი ორი მოხსენება ვარლამ ჩერქეზიშვილმა „ქართველ ქალთა საზოგადოების“ თხოვნით წაიკითხა. 1920 წლის 14 მარტს „სახალხო საქმე“ იუწყებოდა: „ქართველ ქალთა საზოგადოების თხოვნით ევროპიდან ახლად დაბრუნებული ცნობილი მოღვაწე ვარლამ ჩერქეზიშვილი ამ დღეებში მოხსენებას წაიკითხავს სამუსიკო საზოგადოების შენობაში. ბილეთები ამ თავითვე იყიდება „დარბაზში“. 21 მარტს იგივე გაზეთი აღნიშნავდა, რომ ვარლამ ჩერქეზიშვილი წაიკითხავდა მორიგ ლექციას რუსულ ენაზე: „დღეს, საღამოს 7 ½ საათზე კონსერვატორიის დარბაზში შესდგება მორიგი ლექცია ქართველ ქალთა საზოგადოებისა. ლექციას რუსულად წაიკითხავს ევროპიდან ახლად დაბრუნებული ცნობილი რევოლიუცონერი და პოლიტიკური მოღვაწე ვარლამ ჩერქეზიშვილი“.

[1] მალხაზ მაცაბერიძე. ვარლამ ჩერქეზიშვილი 1917 წელს: საქართველოში დაბრუნება - „პოლიტიკა“, 2023, N 1, გვ.40-50.

ეს მოკლე საგაზეთო განცხადებები არაფერს გვეუბნება ვარლამ ჩერქეზიშვილის ლექციების შინაარსის შესახებ. როგორც ერთ-ერთი განცხადებიდან ვგებულობთ, მთავარი თემა იმ დროს ევროპაში არსებული ვითარება და ახლადშექმნილი ერთა ლიგაა. ამ ვარაუდს ადასტურებს იმავე გაზეთში გამოქვეყნებული ვარლამ ჩერქეზიშვილის მიერ საქართველოს ერთა ლიგის საზოგადოებისათვის წარდგენილი მოხსენების მოკლე შინაარსი.

ვარლამ ჩერქეზიშვილი გამოყოფდა ერთა ლიგის სამომავლო საქმიანობის სამ ძირითად მიმართულებას: ა/ მილიტარიზმის მოსპობას, ბ/ საერთაშორისო ტრიბუნალის მეშვეობით სახელმწიფოებსა და ხალხებს შორის სადავო საქმეების გადაწყვეტას და გ/ მოქალაქეთა შრომის პირობების დაცვას. ვარლამ ჩერქეზიშვილი იმასაც აღნიშნავდა, რომ როგორც ნებისმიერ ახლად შექმნილ ორგანოს, ერთა ლიგის წესდებასაც სამომავლოდ დასჭირდებოდა „ცვლილებები და დაკვირვებული დამატებები“. ვარლამ ჩერქეზიშვილი იმედს გამოთქვამს, რომ „განათლებული კაცობრიობა შეკავშირებული ხალხთა ლიგით ადრე თუ მალე სამუდამოდ მოსპობს მილიტარიზმს და ომებს ბოლოს მოუღებს“.

ვარლამ ჩერქეზიშვილის მოხსენების დიდი ნაწილი ეთმობა იმის ჩვენებას, რომ ერთა ლიგის მიერ დასახული ამოცანები ემთხვევა პირველი ინტერნაციონალის მოთხოვნებს, ამიტომაც ევროპის სოციალისტური პარტიები არა მხოლოდ მხარს უჭერენ, არამედ ამ პარტიების წარმომადგენლები აქტიურად ერთვებიან ერთა ლიგის საქმიანობაში. ვარლამ ჩერქეზიშვილი ხასზ უსვამდა, რომ ერთა ლიგის განვითარება და მისი მომავალი დამოკიდებულია მისი მხარდამჭერი „საზოგადოებრივი აზრის შექმნაზე“. ვარლამ ჩერქეზიშვილის თქმით, დასავლეთის სახელმწიფოებში ყველგან იქმნებოდა „ხალხთა ლიგის საზოგადოებები“, რომელთა აქტიურ მუშაობაზე არის დამოკიდებული ერთა ლიგის მომავალი. ვარლამ ჩერქეზიშვილი სასურველად მიიჩნევდა, რომ საქართველოს ყველა

კუთხეში შექმნილიყო ხალხთა ლიგის საზოგადოებები და როდესაც საქართველოს სახელმწიფო საერთაშორისოდ იქნებოდა აღიარებული, ხალხთა ლიგაში საქართველო შევიდოდა „მომზადებული აქტიური და სოლიდარული მუშაობისათვის საერთაშორისო განახლებულ ხალხთა ოჯახში“.

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ საერთაშორისო აღიარებას მიაღწია, მაგრამ ერთა ლიგაში მისი გაწევრიანება წარუმატებელი აღმოჩნდა. 1920 წლის დეკემბერში ერთა ლიგამ განიხილა საქართველოს წევრად მიღების საკითხი, მაგრამ ამისთვის საჭირო 14 ხმის ნაცვლად მხოლოდ 10 ხმა მიიღო...

ხალხთა ლიგა

ვ. ჩერქეზიშვილის მოხსენება საქართველოს ერთა ლიგის საზოგადოებისათვის

1920 წ. იანვრის 16-ს ქ. პარიზში ოფიციალურად გაიხსნა პირველი კონგრესი ხალხთა ლიგისა. მთავარი მიზანი და სახელმძღვანელო მეთოდი ლიგისა შეიძლება გამოიხატოს სამი დებულებით: 1) ბოლო მოეღოს ყოველნაირ სამხედრო ცდას და სამხედრო მზადებას და მოსპოს მილიტარიზმი. 2) სახელმწიფოთა და ხალხთა შორის ყოველგვარი სადავო საქმე დაუქვემდებაროს საერთაშორისო ტრიბუნას. 3) მოხდეს საურთიერთო და საერთაშორისო შეთანხმება მოსაწესრიგებლად მამაკაცთა, დედაკაცთა და ბავშვთა შრომის პირობების და საკომერციო საფინანსო ურთიერთობების. როგორც ყოველი ახლად მოვლენილ რამ საჭიროებს დამატება-შეკრებას, აგრედვე სტატუტები ხალხთა ლიგისა მოითხოვენ ცვლილებებს და დაკვირვებულ დამატებას.

ამის შესრულება შეუძლიან ყველა ხალხის მიერ წარმომადგენელთა კონგრესს.

ერთი რამ უდავოა და არ იწვევს გაუგებრობას, სახელდობრ ის, რომ განათლებული კაცობრიობა შეკავშირებული ხალხთა ლი-

გით ადრე თუ მალე სამუდამოდ მოსპობს მილიტარიზმს და ომებს ბოლოს მოუღებს.

ვაშინგტონის საერთაშორისო მუშათა კონგრესმა 1919 წ. მიიღო რეზოლუცია პირველი ინტერნაციონალის დადგენილების: ხალხთა ლიგამ უნდა დააკანონოს სავალდებულოდ ყველა სახელმწიფოსთვის და ქვეყნისთვის 8 ს. სამუშაო დღე. მოსპოს ბავშვთა შრომა 14 წლამდის, მოაწესრიგოს ქალთა შრომა სოციალური ურთიერთობისა.

ასეთი ძირითადი მოთხოვნილებანი იგივეობაა პირველ ინტერნაციონალის მოთხოვნილების. აი ამიტომ ინგლისის ტრედ უნიონები 1919 წ. კონგრესზე ერთხმად შეუერთდენ ხალხთა ლიგას. მუშათა ლიდერი კლაინსი, რომელიც მოითხოვდა ინგლისის შავი ქვის მაღაროების ნაციონალიზებას, ბორნერი გრამლი და ყველა ქვეყნების ნავთსადგურთა და საზღვაო მუშათა თავმჯდომარე რობერ ვილიამსი, ყველა ესენი ერთხმად მოითხოვენ მუშათა კლასის მუშაობას ხალხთა ლიგაში. ცნობილია რომ შვეციის ინტერნაციონალმა და ლიდერმა ბრანტინგმა ნორვეგიის მუშათა ლიდერმა და პარლამენტის თავმჯდომარემ იოგან გატრბერმა, ბელგიის - ვანდერველდმა და ჰოლანდიის სოციალისტურმა ორგანომ „ფოლკმა“ და სხვა მრავალმა ყველამ ერთხმად მოითხოვეს და მოითხოვენ აქტიურ მონაწილეობას, როგორც დემოკრატების აგრედვე სოციალისტების ხალხთა ლიგაში. მიუხედავად საფრანგეთის სოციალისტების პირთა სხვა და სხვაობისა და განსხვავებისა, მაინც მათი შეხედულება ხალხთა ლიგაზე და მის მომავალზე იმით შეიძლება დავასკვნათ, რომ მათი წარმომადგენელი გამოჩენილი სოციალისტი და ინტერნაციონალისტი ალბერტ გომა ხალხთა ლიგის შრომის განყოფილების თავმჯდომარეა.

მხოლოდ შეერთებული შტატების სენატმა, მიუხედავად იმისა, რომ ხალცხთა ლიგის გარშემო დიდი საზოგადოებრივი მოძრაობაა - უარი სთქვა, ვერსალის საზავო პირობის რატიფიკაციაზე, ნება არ მისცა შეერთებულ შტატებს მონაწილეობა მიეღო ხალხთა ლიგის გახსნაში. მრავალ მოსაზრებით, რომელთაც პრინციპი-

ალური მნიშვნელობა არა აქვთ, - სენატი შეეხო მონროეს მოსაზრებებს, რომელიც ურჩევს შეერთებულ შტატებს არ ჩაერიონ ევროპის საქმეებში, მაგრამ სენატს დაავიწყდა, რომ მონროეს პრეზიდენტობის დროს (1817-1825) შეერთებულ შტატებში, მხოლოდ ცხრა მილიონი მოსახლეობა იყო, 1910 წ. კი 92 მილიონი, დაავიწყდა სენატს ისიც, რომ მონროეს დროს არ იყო არც გემებით მიმოსვლა და არც ტელეგრაფი, და ამასთანავე ამერიკას არავითარი კომერციული და კანონიერი გავლენა არა ჰქონდა.

სასაცილოა იზოლაციაზე ლაპარაკი, როგორც ამერიკა მილიარდებს ატრიალებს ევროპის ბაზარზე. რასაკვირველია სენატი იძულებული იქნება დანებდეს საზოგადოებრივ მოძრაობას.

ხალხთა ლიგის გაზრდა-განვითარება და მისი მომავალი დამოკიდებულია ხალხში და ერში საზოგადოებრივ აზრის შექმნით.

ყველა სახელმწიფოებში, გამონაკლისს შეერთებული შტატები არ წარმოადგენს, ვიდრე თვით ვილსონი წამოაყენებდა, თვის ცნობილ 14 მუხლს ხალხთა ლიგისათვის - არსებობდნენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომელნიც პროპაგანდას ეწეოდნენ მილიტარიზმის წინააღმდეგ, საერთაშორისო სოლიდარობისთვის და შრომის პირობების გასაუმჯობესებლად.

დღეს ინგლისში, ბელგიაში, საფრანგეთში, შეერთებულ შტატებში, გერმანიაში და ყველგან არსდება ხალხთა ლიგის საზოგადოებები, რომელთა აქტიურ მუშაობაზე არის დამოკიდებული თვით მომავალი ოფიციალური ხალხთა ლიგა.

ამისათვის მე მსურდა, რომ ჩვენი დემოკრატიული და ნეიტრალური საქართველოს რესპუბლიკა, მოფენილიყო, როგორც სხვა დემოკრატიული ქვეყნები ხალხთა ლიგის საზოგადოებებით, რათა დღეს, როდესაც სამშვიდობო კონფერენცია იცნობს იურიდიულად ჩვენ სახელმწიფოს დამოუკიდებლობას, ჩვენ შევიდოდით ხალხთა ლიგაში მომზადებული აქტიური და სოლიდარულ მუშაობისთვის საერთაშორისო განახლებულ ხალხთა ოჯახში.

ვ. ჩერქეზიშვილი

„სახალხო საქმე“, 1920 წელი, N849

ლიტერატურა

ვარლამ ჩერქეზიშვილის მოხსენება - „სახალხო საქმე“ 1920 წ. 9 მარტი, N 773

ვარლამ ჩერქეზიშვილის მოხსენება - „სახალხო საქმე“ 1920 წ. 14 მარტი

ვარლამ ჩერქეზიშვილის ლექცია - „სახალხო საქმე“ 1920 წ. 21 მარტი, N 783

ვ. ჩერქეზიშვილის მოხსენება საქართველოს ერთა ლიგის საზოგადოებისათვის -„სახალხო საქმე“, 1920 წელი, N849

მალხაზ მაცაბერიძე. ვარლამ ჩერქეზიშვილი 1917 წელს: საქართველოში დაბრუნება - „პოლიტიკა“, 2023, N 1, გვ.40-50. Malkhaz matsaberidze Varlam Chekhezishvili in 1917: A Return to Georgia

Malkhaz Matsaberidze

Lecture of Varlam Cherkhezishvili on the Necessity of Georgia's Entry into the League of Nations

abstract

In March, 1920, upon his return from the Western Europe, Varlam Cherkhezishvili delivered a cycle of lectures in Tbilisi on the League of Nations, which commenced on January 16, 1920. Varlam Cherkhezishvili stressed the importance of the League of Nations in the process of disarmament, imposing peace in the World and in the protection of the rights of workers; he particularly pointed out the common spirit of the socialist parties towards this organization. By that time, Georgia was not de jure recognized yet, thus Cherkhezishvili considered it as an absolute necessity to make the activities of the Society of the League of Nations more widespread in Georgia. This would pave the way for Georgia's eventual membership into the League of Nations.

Key words: Georgia, League of Nations, Varlam Cherkhezishvili.